კვლევის პროდუქტულობის საზომები და შეფასების მექანიზმი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლაში

ნინო სიხარულიძე, მურთაზ ბოლქვაძე, თამარ კასრაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ბრეგვაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, საქართველო

2021 წ.

განაცხადი

ჩვენ, წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო სიხარულიძე

მურთაზ ბოლქვაძე

თამარ კასრაძე

03/07/2021

აბსტრაქტი

წინამდებარე კვლევა პრაქტიკის კვლევის პროექტს წარმოადგენს, რომლის მიზანია კვლევის პროდუქტულობის და შეფასების მექანიზმის გაუმჯობესება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში. დიაგნოსტირების ეტაპზე დამკვეთის მიერ დასახელებული გარემოებებიდან გამომდინარე გამოიკვეთა საკვლევი პრობლემა, თეორიულმა ჩარჩომ კი განსაზღვრა ძირითადი საკვლევი საკითხები და შერჩევის კრიტერიუმები. საკვლევი პრობლემის დიაგნოსტირების ეტაპზე ჩატარდა სიღრმისეული ინტერვიუები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის პროფესორებთან და კვლევის შეფასების მექანიზმისა და მხარდაჭერის სერვისების შემუშავებაში ჩართული სამსახურების წარმომადგენლებთან. სიღრმისეული ინტერვიუების პარალელურად მეორადი მონაცემების ანალიზი ხდებოდა. დიაგნოსტიკურმა კვლევამ გამოკვეთა რიგი გასაუმჯობესებელი საკითხები კვლევის შეფასების არსებულ მექანიზმში და ასევე ხაზი გაუსვა აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის თანამშრომლობის მნიშვნელობას ცვლილებების განხორციელების პროცესში. მიღებული შედეგებიდან გამომდინარე განისაზღვრა ინტერვენციები რაც გულისხმობს აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჩართულობით ფოკუს-ჯგუფების ჩატარებასა და მიღებული შედეგების მიხედვით ცვლილებების განხორციელებას ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლაში არსებული კვლევის შეფასების მექანიზმში, მისი გაუმჯობესების მიზნით. საბოლოო ეტაპზე, შემუშავდა ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის კონცეფცია და მის შესასრულებლად საჭირო სანიმუშო პროდუქტები და რეკომენდაციები, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია უნივერსიტეტის სხვა სკოლების აკადემიური პერსონალის შესრულებული სამუშაოს ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის გასაუმჯობესებლად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კვლევითი პროდუქტიულობა, შეფასების სისტემა, პრაქტიკის კვლევა, თვითშეფასება, აკადემიური პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფა, განათლების სკოლა.

Abstract

The present study is a practice research project aimed at improving research productivity and evaluation mechanism at Ilia State University. At the stage of diagnosis, the research problem was identified based on the circumstances named by the customer, and the theoretical framework defined the main research issues and selection criteria. At the stage of diagnosis of research problems, the In-depth problem-solving interviews were conducted with professors at Ilia State University School of Education and with representatives of services involved in the development of the research evaluation mechanism and support services. Secondary data were analyzed in parallel with in-depth interviews. The diagnostic study highlighted a number of issues that need to be improved in the existing research evaluation mechanism and also highlighted the importance of collaboration between academic and administrative staff in the change of the implementation process. Based on the obtained results, interventions were identified, which include conducting focus groups with the involvement of academic and administrative staff and making changes, according to the results, to the research evaluation mechanism of the Ilia State University School of Education, in order to improve it. In the final stage, the concept of quality assurance cycle and the sample products and recommendations required for its implementation were developed, which can be used to improve the quality assurance process of the academic staff of other schools of the University.

Keywords: Research Productivity, Assessment System, Practice Research, Self-Assessment, Academic Staff, Quality Assurance, School of Education.

მადლობა

ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ქალბატონ თამარ ბრეგვაძეს.

მადლობას ვუხდით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევების კოორდინაციის სამსახურს და მის წარმომადგენელ ანა ხუნდაძეს, რომელიც აქტიურად იყო ჩართული კვლევის პროცესში, როგორც კვლევის დამკვეთი მხარე.

მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის ხელმძღვანელს სოფიკო ლობჟანიძეს, ასევე განათლების სკოლის პროფესორებსა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს კვლევის მხარდაჭერისა და საჭირო ინფორმაციული რესურსებით უზრუნველყოფისთვის.